თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №37

15 სექტემბერი, 2020 წელი

ქ. თეთრიწყარო

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო - სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 11 სექტემბრის №123/2020 განკარგულებიდან და №33/2020 დადგენილებიდან გამომდინარე

მუხლი 1.

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებული სააგიტაციო მასალის განსათავსებლად გამოიყოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძები;
2. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გამოსაფენად გამოყენებული იქნეს სარეკლამო აბრები და საინფორმაციო სტენდები.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა, სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრის ან მფლობელის თანხმობის შემთხვევაში.
4. სააგიტაციო მასალის განთავსება აიკრძალოს:

ა) რელიგიურ და საკულტო ნაგებობებზე;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;

გ) პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;

დ) სასამართლოს შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;

ე) სამხედრო შენაერთების ინტერიერსა და ექსტერიერში;

ვ) საგზაო ნიშნებზე;

ზ) საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;

თ) ძეგლებსა და ბიუსტებზე;

ი) მუზეუმის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;

კ) სოფლებში არსებულ „შინმოუსვლელთა ობელისკის“ ტერიტორიაზე;

ლ) შენობებზე, სადაც განთავსებულია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები;

მ) ქ. თეთრიწყაროში მდებარე საავადმყოფოს შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;

5. დაევალოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 2.

განკარგულება ცნობისათვის გადაეგზავნოს N26 თეთრიწყაროს საარჩევნო კომისიას.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ.N11), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 4.

განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გოჩა თედორაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

TETRITSKARO MUNICIPALITY

Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY
Date: 2020.09.15 12:54:43 +04'00'